საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოდი

მოდი, ძველი ებრაული საწყაო. ფართოდ იყო გავრცელებული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ქართ. წერილობით წყაროებში დამოწმებულია გიორგი ათონელის თხზულებაში „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთვმესი“ (XI ს.). მ. იხსენიება „ათონის აღაპებსა“ და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში XIII ს-მდე. მოგვიანებით დას. საქართველოში იხმარებოდა მიწის სარგებლობისათვის (ე. წ. „სამოდო მიწა“) დაწესებული გადასახადის („მოდი“) აღსანიშნავად და მოსავლის მეათედით განისაზღვრებოდა. ს.-ს. ორბელიანთან მ-ის შესატყვისია ჩანახი. უდრიდა დაახლ. 8 *კგ*.

ლიტ.: ს ო ს ე ლ ი ა ო., მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1954, ნაკვ. 31; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე